



ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ 3/357

7 12 2015 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 5 ნოემბრის №669/10 გადაწყვეტილების შესაბამისად წარმოგიდგენთ განაცხადს სათემო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოპოვების შესახებ.

ა) იურიდიული პირის სახელწოდება: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №53ა, რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციაში 2007 წლის 3 დეკემბერს. ს/კ №205233022. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - კონსტანტინე იაკობიშვილი.

ბ) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა; ლიცენზიის სახეობა: სათემო მაუწყებლობა.

გ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: თბილისი, ახალციხე, ახმეტა, გორი, ზუგდიდი, ლენტეხი, მესტია, სენაკი, ტყიბული, ფოთი, ქუთაისი, სტეფანწმინდა, ყვარელი, წალკა, ხულო, ბათუმი, დედოფლისწყარო.

დ) მაუწყებლობის ენა: ქართული და რუსული.

ე) მაუწყებლობის ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში: 24 საათი.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (კონსტანტინე იაკობიშვილი)



მ-11/9580-15
07 12 15
1+ კონკრეტული

საგადახდო დავალება
Payment Order

1449149769
თარიღი / Date 03/12/2015

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

გადამხდელი / Sender

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახე. 205233022 - 205233022

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE76TB7488036020100002

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი ბანკის კოდი / Bank Code TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 205233022

მიმღები / Receiver

საზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773062

მიმღების ბანკი / საზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ბანკის კოდი / Bank Code TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

მოსაკრებელი კერძო და სათემო მაუწყებლობის ლიცენზირებიდან

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

ხელმოწერები

Signatures
ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უკრძალებს უზემოსხენებელ ხელშეკრულებას.

რეფერენსი / Ref. Num.

1271233309

თანხა / Amount

2,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ორი ათასი ლარი და 00 თეთრი

ბანკში საგადახდო დავალების
მიღების/წარდგენის თარიღი

Document
submission/receiving date

03/12/2015

ხელმოწერა

Signature



საგადახდო დავალება
Payment Order

1449150683
თარიღი / Date 03/12/2015

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

რეფერენსი / Ref. Num.

1271266322

თანხა / Amount

5,686.20 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ხუთი ათას ექვსას ოთხმოცდაექვსი
ლარი და 20 თეთრი

ბანკში საგადახდო დავალების
მიღების/წარდგენის თარიღი

Document
submission/receiving date

03/12/2015

ხელმოწერა

Signature



გადამხდელი / Sender

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახე, 205233022 - 205233022

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE76TB7488036020100002

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 205233022

მიმღები / Receiver

'საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია'

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code GE11TB060000000609326

მიმღების ბანკი / სახისა Receiver's Bank / Treasury

ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი

TBCBGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

სალიცენზიო გადასახდელის 10 პროცენტი

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

ხელმოწერები

Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების უწყვეტი უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება 'ხელმოხსენებულ ხელშეკრულებას'.

კომპანიის დასახელება ააპ საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი
 ერთი აქტივებისა და პასივების შესახებ
 2015 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები:	
ნაღდი ფული	0
საბანკო ანგარიში	349645
დებიტ დავალ(წინასწარ გადახდილი სწავლის ვად.)	71604
საექვე ვალები რეზერვი	0
სულ დებიტორული დავალიანება	71604
სასაქონლო მარაგები	137289
მთლიანი მიმდინარე აქტივები	558538

ძირითადი საშუალებები:	
სატრანსპორტი საშუალებები	66763
დაგროვილი ცვეთა	15263
სულ სატრანსპორტი საშუალებები	51500
ავტო და ოფისის მოწყობილობა	406303
დაგროვილი ცვეთა	125612
სულ ავეჯი და ოფისის მოწყობილობები	280691
მოწყობილობა და დანადგარები	1230525
დაგროვილი ცვეთა	254658
სულ მოწყობილობა და დანადგარები	975867
უძრავი ქონება	2874216
დაგროვილი ცვეთა	123546
სულ უძრავი ქონება	2750670
მიწა	0
მთლიანი ძირითადი საშუალებები	4058728

არამატერიალური აქტივები:	
ლიცენზია და პატენტი	0
გუდვილი	0
მთლიანი არამატერიალური აქტივები	0

მთლიანი აქტივები

ვალდებულებები და კაპიტალი

მიმდინარე ვალდებულებები:	
კრედიტორული დავალიანება(სწავლის გასდასახადოთ)	145303
დარიცხული გადასახადები	0
დარიცხული ხელფასები	0
აუნაღ მთავარი შემოსავლები	0
მოკლევადიანი სესხები	0
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	145303

გრძელვადიანი ვალდებულებები:	
გრძელვადიანი სესხები	0
გადავადებული გადასახადები	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	0

მთლიანი ვალდებულებები	145303
------------------------------	---------------

კაპიტალი:	
საკუთარი კაპიტალი	4215963
გაუნაწილებელი მოგება	256000
მთლიანი კაპიტალი	4471963

მთლიანი აქტივები

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი

თ.კახაძე



განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია

რადიოს უპირველესი დანიშნულება იქნება ღვთის სიტყვის ქადაგება და მისი გავრცელება, მაგრამ ცხადია იგი მხოლოდ საღვთისმეტყველო თემატიკით არ შემოიფარგლება. რადიოს ეთერში მომზადებული გადაცემები ორიენტირებული იქნება როგორც, ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ასევე განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების შეფასებაზე. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოს მოსახლეობის 87% არის მართლმადიდებელი. ამდენად, სათემო რადიომაუწყებლობა მოემსახურება სწორედ მართლმადიდებლური თემის ინტერესებს. რადიოს გადაცემათა ციკლი მიემდგინება, როგორც სკოლამდელ, ასევე სასკოლო ასაკის ბავშვებს და სტუდენტებს. რადიო ეცდება მის მიერ შეთავაზებულმა გადაცემებმა უზრუნველყოს საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა სამაუწყებლო სივრცეში. რადიოს მიზანია, ჰყავდეს არა ერთი რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მსენელი, არამედ პირიქით, მისმა რუბრიკებმა მოიცვას საზოგადოების ფართო წრე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადიოს ექნება საინფორმაციო, ანალიტიკური, შემეცნებითი, გასართობი, კულტურულ-ესთეტიკური, სასწავლო და აღმზრდელობითი ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციების განხორციელებას რადიო გეგმავს ქვემოთჩამოთვლილი სხვადასხვა მიმართულების მქონე გადაცემების მეშვეობით.

რელიგიური მიმართულება

საღვთისმეტყველო გადაცემათა ციკლის „ღვთისმეტყველება“ მიზანი იქნება რადიომსმენელს გააცნოს:

დოგმატური ღვთისმეტყველება – ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი დოგმატები და ის საღვთისმეტყველო თემები, რომლებიც წარმოაჩენს სწავლა-მოძღვრებით განსხვავებებს სხვადასხვა დენომინაციებს შორის და იძლევა მეცნიერებისა და კულტურის თანამედროვე მიღწევების ქრისტიანული ანალიზის საშუალებას;

მისიონერობა – წმინდა წერილის სწავლების მიხედვით ჩამოყალიბებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო მსახურების თეორიული პრინციპები და პრაქტიკული გამოცდილება;

რელიგიის ფილოსოფია – თანამედროვე ადამიანის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბების ანალიზი კლასიკური და თანამედროვე ფილოსოფიური მოძღვრებების მიხედვით;

ჰომილეტიკა – წმინდა წერილის, დიდი საეკლესიო დღესასწაულებისა და წმინდანთა ცხოვრების მნიშვნელობის ზეპირი განმარტების გადმოცემის პრინციპები წმინდა მამებისა და თანამედროვე სასულიერო მოღვაწეების მიერ წარმოთქმული ქადაგებების მიხედვით;

ლიტურგიული გადმოცემები – ეკლესიის შვიდი საიდუმლოს შინაარსი, ისტორია და სიმბოლური მნიშვნელობა;

საეკლესიო და სახელმწიფო სამართლის საფუძვლები – საქართველოს სამართლებრივი სისტემა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ეკლესიისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობა;

• შვიდგზის ლოცვა

შვიდგზის ლოცვის უძველესი ტრადიცია იყო საქართველოში. ეს ტრადიცია უწმინდესმა ალაღგინა. იგი ეფუძნება დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს: „შვიდგზის დღესა შინა გაქებდე შენ უფალო“. რადიო გეგმავს ყოველდღე დღეში შვიდჯერ გადასცეს

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მალაღიერარქების მიერ წაკითხული ლოცვები. რადიოპროგრამის სამაუწყებლო ბადეში მას მუდმივად ზუსტად განსაზღვრული დრო ექნება განკუთვნილი.

• **დილა-სადამოს ლოცვები**

რადიო მსმენელს საშუალებას მისცემს რადიო ეთერით მოისმინოს დილა-სადამოს ლოცვები. დაგეგმილია ხშირად განიმარტოს ლოცვის მნიშვნელობა. წაკითხება ფრაგმენტები ქრისტიანისთვის და არა მარტო ქრისტიანისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნებიდან ლოცვის შესახებ.



• **წმინდანთა ცხოვრება**

რადიო გეგმავს, ყოველდღიურად გადასცეს წმინდანთა ცხოვრება. ამ გადაცემის მიზანი, რა თქმა უნდა, შემეცნებითი ხასიათისაც არის. იგი ქართველებთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეპოქის წმინდანთა ცხოვრების გაცნობას

ისახავს იზნად.



• **პატრიარქის ქადაგება**

რადიო შეეცდება ეთერით ყოველკვირეულად გადასცეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება. რადიოთი გადაცემულ პატრიარქის ქადაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრევლის ეკლესიის წიაღთან დასაკავშირებლად. მსმენელი უშუალოდ კათოლიკოს-

პატრიარქის მიერ წარმოთქმული სწავლებებიდან შეიცნობს ღვთისმსახურების დიდ მადლს, რწმენის, ქვეყნისადმი ერთგულების განსაკუთრებულ ღირსებას, სახელმწიფოებრივი აზროვნების მნიშვნელობას.



და

• **წმიდა წერილი და მისი განმარტებანი**

მსმენელს საშუალება ექნება ყოველდღე ძველი აღთქმის წიგნების და სახარების თითო თავი მოისმინოს. წმიდა წერილს რადიომსმენელს ძველსა ახალ ქართულზე შევთავაზებთ.

სახარება თავის თავში მოიცავს ჩვენი სულიერი ცხოვრების სრულ პროგრამას და აღქმული უნდა იყოს, როგორც „ფუძე-საწყისი ყოველივესი“. სახარების განმარტება საჭიროა ახალი აღთქმის შესწავლა-შემეცნებისათვის, მათი უკეთ გათავისებისათვის. რადგან ეს რადიოსაუბრები გათვალისწინებულია მსმენელთა ფართო წრისათვის სახარების წიგნთა განმარტებამდე ავტორი თავად სახარების ოთხწიგნულზე მოგვითხრობს, ყურადღებას გაამახვილებს პირველ რიგში: სახარების წიგნთა შექმნის ისტორიაზე, მათი დაწერის თარიღზე, სახარების ენაზე, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებაზე მესიის მოსვლის შესახებ, ავტორთა მსოფლმხედველობაზე საზოგადოებასთან მიმართებაში; იმ ობიექტურ თუ სუბიექტურ ასპექტებზე რამაც განაპირობა ამ სახარებებს შორის მონათხრობთა განსხვავებები.



• **ფსალმუნები და მათი განმარტებანი**

რადიო მსმენელს ყოველდღიურად შესთავაზებს ფსალმუნს. ქვეყანაში განსაცდელის მოძალების ქამს პატრიარქი მლოცველებს კიდევ ერთხელ შეახსენებს ხოლმე ფსალმუნთა ძალას და თხოვს მეტი გულმოდგინებით იკითხონ კანონები. რადიოც მუდამ გულისხმიერებით შეეცდება ეკლესიის ცხოვრების წესს მიჰყვეს და ძველი აღთქმის თუ სახარების წიგნთა

ტექსტის კითხვის მსგავსად ფსალმუნთა კითხვაც ყოველდღიურ უცვლელ ციკლად შესთავაზოს მსმენელს. ფსალმუნთა სათქმელი, ისევე როგორც ყოველი წიგნის სათქმელი

ბიბლიიდან, ძალიან ბევრ შეკითხვას და საფიქრალს უჩენს ადამიანს. ამ სიბრძნის შეცნობა და მიღება მაშინ არის შესაძლებელი, თუკი ღვთის სიტყვის მნიშვნელობას მივწვდებით, ეს კი საგანგებო სწავლებით მიიღწევა.



• *მიყო იგავსა ყური ჩემი*

საზოგადოდ ცნობილია, რომ ბიბლიაში ღვთის სიტყვა მკითხველს იგავური წესით მიეწოდება. წმიდა წერილი უგულვებელყოფს ზედმიწევნით ზუსტ აღწერას და ამბავთა გადმოცემისას უპირატესობას იგავურ წესს ანიჭებს. ამიტომ თხრობის იგავური მეთოდი, როგორც წესი, ეს იქნება მხატვრული

ნაწარმოებისა თუ, მითუმეტეს, ბიბლიური წიგნებისა აუცილებლად ითხოვს საგანგებო განმარტებას. ეს ციკლი სწორედ ამიტომ მიემდგვნება სახარებისეული იგავების განმარტებას.



• *კატეხიზმო-მრწამსი, ათი მცნება, ცხრა ნეტარება*

კატეხიზმოს განმარტებას, რომელიც მართლმადიდებლური სარწმუნოების, შემოკლებული სწავლება - მოძღვრებაა, პროგრამის მნიშვნელოვანი დრო ექნება დათმობილი რადიოში. საეკლესიო მოძღვრების დებულებანი შემოკლებულად არის მოცემული

კატეხიზმოში და ზუნებრივია კატეხიზმოს გაცნობა მსმენელს საშუალებას აძლევს იცოდეს საეკლესიო დოგმები, ჭეშმარიტი რწმენის დებულებანი, რათა შეიმეცნოს თუ რა არის ყველაზე არსებითი საეკლესიო მოძღვრების დასაცავად.

• *საუბარი მართლმადიდებელ მოძღვართან*

გადაცემა ძირითადად მსმენელის შეკითხვებზეა აგებული. მართალია, გადაცემას ყოველთვის ექნება თავისი თემა, რომელიც ხშირად მსმენელთა სურვილით შეირჩევა, მაგრამ მას გადაცემის მხოლოდ პირველი ნახევარი, დაახლოებით ოცი წუთი დაეთმობა. გადაცემის დარჩენილი დრო კი მსმენელთა მიერ დასმულ შეკითხვებზე აიგება. გადაცემა ყოველდღიურად გავა ეთერში. გადაცემაში ყოველდღე სხვადასხვა მღვდელმსახური იქნება სტუმრად მოწვეული.

გადაცემა „საუბარი მართლმადიდებელ მოძღვართან“ ძირითადად საღვთისმეტყველო შინაარსის იქნება: როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქრისტიანი, რა ევალება მორწმუნეს ღვთისა და ადამიანის წინაშე, როგორ ვიცხოვროთ ეკლესიურად, რა არის რწმენა, სიკეთე და სასოება, საუბრები ძველი აღთქმის წიგნებსა და წინასწარმეტყველებზე, წმინდანთა ცხოვრების წესსზე, ლიტურგიაზე, ღვთის შემეცნებაზე, პიროვნების ფერიცვალებაზე.

• *საუბარი ქრისტიანულ ზნეობაზე*

პროგრამის – „საუბარი ქრისტიანულ ზნეობაზე“ მიზანს წარმოადგენს რადიომსმენელებს გააცნოს ადამიანის ზნეობრივი მოვალეობანი ღვთის, მოყვასისა და საკუთარი თავის მიმართ, წარმოაჩინოს ის, თუ რამდენად შეესატყვისება თანამედროვე ადამიანის ცხოვრება ქრისტიანულ ღვთაებრივ მოძღვრებას, წმ. მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას, საღვთო სჯულს და რამდენად ასხამს ხორცს მას ყოველდღიურ

ცხოვრებაში, რადგან სჯულის მსმენელები კი არ არიან მართალნი ღმერთთან, არამედ სჯულის შემსრულებელნი.

სხვადასხვა გადაცემაში ჩვენს მსმენელებს გავაცნობთ და განუჟმარტავთ (წმინდა მართლმადიდებელ მამათა სწავლებიდან გამომდინარე) ქრისტიანის მოვალეობებსა და იმ სათნოებებს, რომლებსკენაც ის უნდა მიისწრაფოდეს.



სწავლებანი და შეგონებანი

დაგეგმილია, რომ რადიომ ძალიან ხშირად გადასცეს ამონარიდები და მცირე შეგონებები სახარებიდან და წმიდა მამათა გამონათქვამებიდან. რადიოში გამონათქვამები და შეგონებანი ძირითადად თემატურად იქნება დალაგებული. თემის უფრო სრულად წარმოჩენისათვის ერთ თემაზე სხვადასხვა მამის გამონათქვამები მუსიკალურად შეიკვრება, საგალობლით გაერთიანდება. მაგალითად, გამონათქვამები: ღმერთზე, სამებაზე, უფლის სიყვარულზე, სათნოებებზე, მტკიცე სარწმუნოებაზე, სიმდაბლზე, სიმშვიდეზე, კაცთმოყვარეობაზე, სულისა და ხორცის სიწმინდით შენახვაზე, ამპარტავნებაზე, პატივმოყვარეობაზე, უმანკოებაზე, მზაკვრობაზე, მდაბალ ზრახვებზე, და ა.შ. გამონათქვამები ლაგდება ვნებათა და სათნოებათა მიხედვითაც, მსმენელმა მათი შეპირისპირებით უკეთ რომ შეძლოს გაანალიზება და უკეთესის არჩევა.

ლიტერატურული მიმართულება

• საუბარი ლიტერატურაზე, კულტურაზე

ამ გადაცემით მსმენელი ინტენსიურად გაეცნობა ძირითადად მხატვრული ლიტერატურის, მაგრამ ამავე დროს, ზოგადად ჩვენს სახელოვნებო სფეროებში, ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, კულტურაში მიმდინარე პროცესებს და ტენდენციებს. გადაცემაში გაშუქდება როგორც ქართული ლიტერატურის, ისე მსოფლიო ლიტერატურული სივრცის სიახლეები. სტუდიის სტუმრები იქნებიან ყველა თაობის გამორჩეული, მნიშვნელოვანი მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, რეჟისორები, თეატრმცოდნეები, მუსიკოსები.

გადაცემის რუბრიკები იქნება: სტუმარი; ახალი წიგნები, ლიტერატურული პრესა; ახალი თარგმანები; ჩვენი კლასიკა; ძვირფასი მედალიონები (სამახსოვრო თარიღები), წმ. მამები გვირჩევენ, პოეზიის სამი წუთი.

• ლიტერატურა და ბიბლიური სიბრძნე

ამ რადიოს პეციფიკიდან გამომდინარე, შევეცდებით რადიოში დასმული პრობლემები, საკითხები, გაშუქებული თემატიკა საღვთისმეტყველო კუთხით განვიხილოთ.

ქართული საზოგადოების ინტერესი წინაპართა მემკვიდრეობისადმი არასდროს განელეზულა. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ინდივიდუალური შემოქმედია ბევრი ნაწარმოები ბიბლიითაა ნასაზრდოები - ბიბლიური ტექსტები, პერსონაჟები, სახეების აზრობრივი და ემოციური გალერეაა, ნასესხები თუ სიმბოლურად გააზრებული.

ეს გადაცემა მიზნად ისახავს ლიტერატურის სწორედ საღვთისმეტყველო კუთხით წაკითხვას.



• ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია

ამ გადაცემებში განხილული იქნება საღვთისმეტყველო ლიტერატურა, რომელიც გამოხატავს მართლმადიდებლური სარწმუნოების სხვადასხვა ასპექტებს დოგმატიკაში, კანონიკაში, პატროლოგიასა და მართლმადიდებლური თეოლოგიის სხვა მიმართულებებში. ეს გადაცემები საშუალებას მოგვცემს დავინახოთ მართლმადიდებლობა უფრო ღრმად, ჩაწვდეთ ქრისტიანობის არსს არა მხოლოდ სულიერ-ინტელექტუალურ დონეზე. აქ მოისმენთ ქრისტიანული სამყაროს ნააზრევს, გაეცნობით სასულიერო მწერლობის ჟანრებსა და ნიმუშებს, ეკლესიის მამათა ცხოვრებასა და მათ ფასდაუდებელ განმარტებებს.



• რუბრიკა “კითხვის დრო” –

რადიო შემოგთავაზებთ წიგნებს, რომლებსაც თქვენთვის მსახიობები და თავად ავტორები წაიკითხავენ. ცნობილი თუ აქამდე უცნობი ნაწარმოებები, შედეგები და დებიუტები – ესაა ლიტერატურა, რომლის მოსმენაც ჩვენს ეთერში შეგეძლებათ. რადიოში მოუსმენთ თანამედროვე და კლასიკად ქცეულ ქართულ და მსოფლიო ლიტერატურას და იპოვით თქვენ საყვარელ წიგნს და ავტორს, რათა შემდეგ განმარტოვდეთ თქვენთვის სასურველ ტექსტთან, რომელშიც შესაძლოა, ბევრი კითხვის პასუხიც აღმოაჩინოთ.



• ფოლკლორი

იგი ერის უმთავრესი სულიერი და კულტურული საგანძურია. ჩვენი ფოლკლორი გამორჩეულად მრავალფეროვანი და თვითმყოფადია მსოფლიოს ხალხთა შემოქმედებაში. ფოლკლორულ თემატიკაზე შეიქმნება გადაცემები. მათში მსმენელი ქართულ და მსოფლიოს ხალხთა კლასიკად ქცეული ზეპირსიტყვიერების შედეგებს მოუსმენს, გაგაცნობთ ქართული ხალხური შემოქმედების აქამდე უცნობ და უნიკალურ ნიმუშებს; შეგახსენებთ უკვე აღიარებულ და ყველასთვის კარგად ნაცნობ ავტორებს და მათ პოეზიას.

სწორედ ამ კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა იქნება ფოლკლორულ თემატიკაზე შექმნილი გადაცემათა ციკლის „მზიანი რწმენის საუფლო“ მიზანი.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმართულება

ისტორიული გადაცემები ჩვენი ქვეყნის წარსულის გასახსენებლად, აწმყოს შესაცნობად, მომავლის გასააზრებლად შეიქმნება.

ისტორიულ გადაცემებში ის პრობლემები იქნება წარმოჩენილი მსმენელის წინაშე რომლებიც თანაბრად აქტუალურია, როგორც ჩვენი წარსულისთვის, ასევე აწმყოსა

და მომავლისთვისაც: ჩვენი ეროვნული ვინაობა; გზა, რომლითაც დღემდე მოვედით; ისტორიული ტრადიცია და ა.შ.



- *ერთად აღვიდგინოთ ეკლესიის უახლესი ისტორია* უწმინდესის მოღვაწეობა ღვთისა და ერის სამსახურში, საქართველოს ეკლესიის ახალი ცხოვრების ფურცელია, ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიაა. ეს ისტორია იქმნებოდა ჩვენს საზოგადოებასთან, ეკლესიის მრევლთან ერთად. სწორედ ამ ადამიანებმა, ცნობილმა თუ უცნობმა მოღვაწეებმა, შემოინახეს უახლესი წარსულის ხსოვნა.

რადიო მოიწვევს ყველას, ვისაც კარგად ახსოვს საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორია. ნებისმიერს მიეცემა საშუალება, ფართო აუდიტორიის წინაშე გაიხსენოს ეს წლები და მოვლენები, რათა კიდევ ერთხელ დაიწეროს ჩვენი ეკლესიის უახლესი ქრონიკა, და მისი ავტორი კი იყოს ამ ეკლესიის მრევლი, საზოგადოება, თითოეული ადამიანი, რომელმაც იცხოვრა ამ ეპოქაში და თავისი ცხოვრებით შეცვალა იგი.

- *ქართლის ცხოვრების ქრონიკები*

ამ გადაცემაში გიამბობთ ჩვენი წარსულის შესახებ, ვისაუბრებთ პრობლემებზე, რომლებიც ისტორიული განვითარების მანძილზე დაისვა ჩვენი ქვეყნის წინაშე. წარმოვაჩინთ ცალკეულ ეპოქალურ მოვლენებს თუ პიროვნებებს, რომლებმაც საკუთარი სულიერი თუ პიროვნული ღვაწლის ფასად შექმნეს ისტორია. ჩვენი ქვეყნის მატთანეს გავიაზრებთ მსოფლიო ისტორიის ქრილში და ვისაუბრებთ მასზე, როგორც კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილზე.

- *მსოფლიო ისტორია*

ეს გადაცემა რადიომსმენელს მოუთხრობს ძველი ცივილიზაციების, ძველი მსოფლიოს ხალხებისა და სახელმწიფოების შესახებ, პრეისტორიული ხანის დამთავრებიდან შუა საუკუნეებამდე, ასევე, შუა საუკუნეების ისტორიის, ახალი ისტორიისა და მსოფლიოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე. გადაცემა დაიყოფა რამდენიმე ბლოკად მსოფლიო ისტორიის პერიოდების მიხედვით.

- *მსოფლიო რელიგიების ისტორია*

რადიომსმენელს შესთავაზობს მსოფლიოს უდიდესი რელიგიების ისტორიის მიმოხილვას. მსოფლიოში ორასზე მეტი რელიგიაა ცნობილი. მათ შორის მრავალი რამ საერთოა, მრავალი - განსხვავებული. რელიგიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიძველით, ტრადიციებით, შინაარსით, ფილოსოფიური სიღრმით, მსოფლიოს რელიგიებით დაინტერესებულ ადამიანებს უამრავ საინტერესო ინფორმაციას მივაწვდით. გადაცემაში მონაწილეობას მიიღებენ ამ რელიგიების წარმომადგენლებიც.



- *ჩვენი ღვთიური საუნჯე*

რაც უფრო მეტი სიწმინდეა ერის წიაღში, მით უფრო ძლიერი და მაღლიანია ის ერი. საქართველო ამ მხრივ გამორჩეულია. ღმერთმა ინება და ჩვენთან მრავალი

მართლმადიდებლური სიწმინდეა. ჩვენ გვხვდა წილად მათზე ზრუნვა და ღირსეულად პატრონობა. ისინი მხოლოდ ჩვენი საკუთრება კი არა, ქრისტიანული სამყაროს საგანძურია.

მსოფლიოს და საქართველო სიწმინდეების ისტორიის, მათი მადლის და ცხოველმყოფელი ძალის შესახებ მომზადდება რადიო გადაცემათა ციკლი „ჩვენი ღვთიური საუნჯე“.



• **ეკლესია-მონასტრები**

ქართველი კაცი დაუსრულებელი ომების დროსაც ახერხებდა ტაძრებისა და მონასტრების შენებას, ქმნიდა თავის უზადლო კულტურას.

მართლაც, საოცარი სისწრაფით განვითარდა ეკლესია-მონასტერთა აღდგენა-აღშენებლობა. ამიტომ რადიო თავის რადიომსმენელს მუდმივად შეთავაზობს გადაცემებს ეკლესია-მონასტრების შესახებ რუბრიკაში

„უამი შენებისა“. ამ რუბრიკით მომზადდება გადაცემები, რომლებიც ახლად აგებულ ეკლესია-მონასტერთა შესახებ მოგვითხრობენ. მათში პირველ რიგში ყურადღება იქნება გამახვილებული ეკლესიის შენების მნიშვნელობაზე, იმ ადამიანებზე, რომელნიც ამ ღვთისთვის სათნო საქმეს მოეკიდნენ.

რადიომსმენელები ამ გადაცემებიდან აგრეთვე გაიგებენ სად და როდის ჩაეყარა საფუძველი ახალი ეკლესიისა თუ მონასტრის აღდგენა-აღშენებლობას, როდის და ვინ აკურთხა ტაძრის საფუძველი, ვინ არიან ქტიტორები, ვინ დადგინდა ტაძრის წინამძღვრად და ვინ იმსახურებს კიდევ ამ ტაძარში.

გადაცემაში დაგეგმილია ინტერვიუები წინამძღვრებთან, მღვდელმსახურებთან, ხატმწერებთან, ხელოვნებამცოდნეებთან, ეკლესიის მრევლთან.

ეკლესია-მონასტრების შესახებ იქნება რუბრიკაც „წინაპართა ნატერფალზე“, რომელიც საქართველოში არსებულ უძველეს ეკლესია-მონასტერთა ისტორიას გაგვაცნობს, მათ წარსულსა და დღევანდელობას ასახავს.

ეკლესია-მონასტერთა შესახებაა აგრეთვე რუბრიკა „ქართველთა მონასტრები და სამოღვაწეო კერები საზღვარგარეთ“.

ეს რუბრიკა დაწვრილებით მოგვითხრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ისეთ ადგილებზე, როგორცაა: შავი მთა, საბაწმინდის ლავრა, სინას მთა, ათონის ივერთა მონასტერი, პეტრიწონის ქართველთა სავანე ბულგარეთში, ჯვრის მონასტერი იერუსალიმში.

გადაცემებში, რა თქმა უნდა, ასახული იქნება ისტორია ამ ძეგლებისა და იმ ადამიანებისა, რომელნიც იქ მოღვაწეობდნენ, მაგრამ რადიომსმენელისთვის უფრო მეტად მათი დღევანდელი ყოფაა საინტერესო. სწორედ ამიტომ, რადიო მოამზადებს მასალას საზღვარგარეთ დღეს არსებულ და მოქმედ ეკლესიებზე. ხშირად მიიწვევენ საქართველოში დროებით ჩამოსულ ამ ეკლესიათა წინამძღვრებს, მღვდელმსახურებსა თუ მრევლს, რომელნიც ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვან და ჩვენთვის უცნობ ამბებს მოგვიყვებიან საზღვარგარეთ არსებულ სამრევლოებზე.



• **ხელნაწერთა სავანე**

საუნჯე, რომელსაც ისტორია ჩვენამდე თითქმის შეურყენელად მოაქვს არის ხელნაწერები. საქართველო, როგორც უძველესი კულტურის ქვეყანა მდიდარია ხელნაწერებით, რომლებიც ჩვენს სულიერ წარსულზე მოგვითხრობენ. ჩვენამდე მოაღწია საეკლესიო თუ საერო

შინაარსის საინტერესო ძეგლებმა, სახელმწიფო დოკუმენტებმა და სხვადასხვა შინაარსის საბუთებმა, ცნობილ მოღვაწეთა ჩანაწერებმა, პირადმა წერილებმა თუ ავტოგრაფებმა. ეს უნიკალური საუნჯე დღეს მუზეუმებსა და ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცვადი. სპეციფიკიდან გამომდინარე ხელნაწერების შეხება და მათი ნახვა მკვლევართა მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია. რაც შეეხება საზოგადოების ფართო წრეს, მისთვის მხოლოდ გამოფენების საშუალებით ხდება ცნობილი, რაც, რა თქმა უნდა, სრულად ვერ წარმოაჩენს იმ საგანძურს, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან შემოგვრჩა. სწორედ ამიტომ, საარქივო მასალებზე, გაცრეცილ ფოლიანტებზე, ძვირფას წერილობით ძეგლებზე, მათში ასახულ ჩვენს ისტორიაზე მოგვითხრობენ მეცნიერები გადაცემაში.

• **„დოკუმენტური კინო-რეალური ისტორია“**

მომზადდება გადაცემა ქართული დოკუმენტური კინოს ისტორიის შესახებ. გადაცემის რესპონდენტები: დოკუმენტალისტები, სცენარისტები, ის პერსონაჟები იქნებიან, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული დოკუმენტალისტიკის განვითარებაში.

• **ქართველთა ეთნოგრაფია**

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, ქართველი ხალხის მიღწევები, სულიერი, მატერიალური, სამეურნეო კულტურის სფეროებსა და სოციალურ ურთიერთობებში; ქართველთა დემოგრაფიული ვითარება; ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმები და ქართველთა ხასიათი ეს საკითხები ჩანახატებისა და მეცნიერული კვლევების სახით მიეწოდება მსმენელს.



• **ჩემი მშობლიური ერთიანი საქართველო**

პატრიოტული სულის, სამშობლოს სიყვარულის გამოხატულება იქნება ერთიანი საქართველოს თემატიკაზე შექმნილი ჩანახატები, ჩემი მშობლიური ერთიანი საქართველო. ის საქართველოს კუთხეებისადმი მიძღვნილ მხატვრულ-პუბლიცისტურ ტექსტებს გააერთიანებს, სადაც ამ კუთხეების ისტორიულ მნიშვნელობასა და მშვენიერებასთან ერთად, საქართველოს მთლიანობის იდეა იქნება ხაზგასმული.

ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, ლაზეთი და აფხაზეთი, იმერი და ამერი - ეს ის სივრცეა, რომელიც მხატვრულ-მუსიკალურ ბლოკში გაცოცხლდება და შთამბეჭდავ ზემოქმედებას მოახდენს მსმენელზე.

საქართველოს ყველა კუთხის წარსულის მნიშვნელოვანი ფაქტები, მათი განსაკუთრებულობა და განუმეორებლობა დედამშობლოს ისტორიაში, მისი ერთიანი სული - ყოველ ჩანახატში მკაფიოდ გამოიკვეთება.

• **ჩვენებურები**

საქართველოს შემოქმედებითი ვიზიტებით ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნის ქართველი ემიგრანტები. მათი სახელი უკვე ყველამ კარგად იცის-„ჩვენებურები“- ასე ვუწოდებთ ჩვენ და ისინიც ასე უწოდებენ საკუთარ თავს და ამ სიტყვის განცდა უფრო გვახლოვებს ჩვენ საერთო სისხლთან და ფესვთან. რადიო მოიწვევს საქართველოში ჩამოსულ თავის თანამემამულეებს გადაცემაში „ჩვენებურები“. ამ გადაცემაში შემოგთავაზებთ შეხვედრებს ისტორიული, პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური

პროცესების გამო საქართველოდან გადახვეწილ ქართველებთან. გადაცემის საშუალებით მსმენელი გაიგებს თუ რა უჭირთ და ულხინთ ჩვენებურებს.

გადაცემა „ჩვენებურები“ მსმენელს გააცნობს საქართველოს ემიგრაციის აქტუალურ პრობლემებს: უცხო ქვეყნებში მცხოვრებ და დაბადებულ ქართველთა სწავლა-განათლების საჭირობო საკითხებს. მიაწვდის ინფორმაციას და მოაწყობს შეხვედრებს თვითიდენტიფიკაციისათვის ესოდენ საჭირო, ეთნოკულტურულ შემოქმედებით ჯგუფებთან.

ხელოვნების მიმართულება



საუბარი ქრისტიანულ ხელოვნებაზე

შემეცნებითი გადაცემების ციკლი – „საუბრები ქრისტიანულ ხელოვნებაზე“ – მიზნად ისახავს რაც შეიძლება საინტერესოდ, მრავალფეროვანი თემებით გააცნოს მაყურებელს ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ქრისტიანულ სახვით ხელოვნებასთან. მასში მიმოიხილება: საეკლესიო ხელოვნების ისტორიის საკითხები, სხვადასხვა დარგების თავისებურებები, იკონოგრაფია-

იკონოლოგიისა და მხატვრული სტილის განვითარების ძირითადი ხაზი, ცალკეული ძეგლების ისტორია, მათი დღევანდელი მდგომარეობა, რესტავრაციის მიმდინარეობა და პრობლემები, მშენებარე ძეგლები, ახალი მოხატულობები, ხატები, გამოყენებითი ხელოვნების ახლადშექმნილი ნიმუშები, ქრისტიანული არქეოლოგიის საკითხები, ძველი და ახალი ხელოვნების გამოფენები, მოქმედ და გარდაცვლილ მოღვაწეთა შემოქმედებითი ბიოგრაფიები, მუზეუმებსა თუ ეკლესიებში დაცული ჯვარ-ხატები, ხელნაწერები, ეკლესია-მონასტრებში მიმდინარე სარეაბილიტაციო-კვლევითი სამუშაოები, წმინდა ადგილებში მოგზაურობის შთაბეჭდილებები და ა.შ.

გადაცემის სტუმრები იქნებიან მეცნიერები (ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები, არქეოლოგები, ფილოლოგები), ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მომუშავე ოსტატები (სახელგანთქმულნიც, ნაკლებად ცნობილნიც და დამწყებნიც), რესტავრატორები (არქიტექტურის, მხატვრობის, ქსოვილების, ნაქარგობის, ლითონმქანდაკეობის, მინანქრისა და ა.შ.), მუზეუმების, ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრების ხელმძღვანელები და რიგითი თანამშრომლები, სახელოვნებათმცოდნეო სასწავლებლების ხელმძღვანელები, პედაგოგები, სტუდენტები, ასევე სასულიერო პირებიც.

• მხატვრის პალიტრა

გადაცემის მიზანია რადიომსმენელს უფრო ახლოს გააცნოს თანამედროვე მხატვართა როგორც შემოქმედება, ისე პირადი ცხოვრება.

გადაცემა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფერმწერთა, გრაფიკოსთა და მოქანდაკეთა ცხოვრებით და შემოქმედებით. სტუდიის სტუმრები იქნებიან თვითნასწავლი მხატვრები,

სხვადასხვა დარგის დიზაინერები, არქიტექტორები, მინანქრის სპეციალისტები, ხეზე, ლითონზე მომუშავე მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები.

გადაცემებში გაშუქდება სამხატვრო სახელოსნოების მოსწავლეთა შემოქმედება, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობათა მქონე ბავშვთა გამოფენები.

სტუდიის სტუმრები იქნებიან აგრეთვე მხატვრები, რომლებიც ხატწერით არიან დაკავებულები, მხატვრები რომელთა მონდომებით და გემოვნებით მოიხატა ჩვენი ტაძრები.

გადაცემა შეხვედრა მხატვართან ითვალისწინებს სტუდიაში სხვადასხვა შემოქმედებითი მიმართულებების მქონე მხატვრების მოწვევას და საუბარს მათი შემოქმედების შესახებ. ამასთანავე რადიომსმენელს მივაწვდით უფრო მეტ ინფორმაციას ხელოვნების ისტორიის და ამ სფეროს თანამედროვეობის შესახებ, რათა გავაცნოთ მსოფლიოში ცნობილი მხატვრები, არქიტექტორები, მოქანდაკეები, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, გავაცნოთ ისტორიული ძეგლების მხატვრული ღირებულებები, რაც ასე აუცილებელია მომავალი თაობის ცოდნის ამაღლებისათვის.

ახალგაზრდული და საბავშვო მიმართულება

• ეკლესია, სკოლა, ოჯახი

სამი რგოლი - ოჯახი, სკოლა და ეკლესია ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს და ბავშვის აღზრდა სამივეგან უნდა ხდებოდეს, ბრძანებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ჩვენს ურთულეს ეპოქაში, როცა დაიკარგა სიყვარული და ყველაზე დიდი სწორედ სიყვარულის დეფიციტია, ოჯახთან ერთად ეკლესიამ და სკოლამ უნდა იტვირთოს ბავშვის ზნეობრივი, მორალური, სულიერი აღზრდა. ამ საკითხებზე ისაუბრებენ სამივე რგოლის წარმომადგენლები. ფსიქოლოგებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან და სასულიერო პირებთან ერთად გადაცემებში მთავარი რესპოდენტები იქნებიან ახალგაზრდები.

• პროფესია და პროფესიონალები

პროექტის მიზანია, გადაცემა იყოს ყველა ასაკის მსმენელისთვის საინტერესო და სასარგებლო; სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მიეცეთ საშუალება შეიტყონ უამრავი პროფესიის შესახებ საინტერესო ისტორიები. შევეცდებით პროფესიონალების მონათხრობი ისტორიებით და რჩევებით, რომელსაც რესპოდენტები გაგვიზიარებენ, დავეხმაროთ პროფესიის სწორად შერჩევაში; გადაცემა საინტერესო იქნება უფროსი თაობისთვისაც, რადგან ისინი საკუთარი პროფესიის გარდა, გაეცნობიან საინტერესო მომენტებს სხვა პროფესიების შესახებ; პოპულარული პროფესიების გარდა, გვინდა მზის სინათლეზე გამოვიტანოთ „ჩრდილში“ მყოფი, გავიხსენოთ დიდი ხნის წინ საჭირო, მაგრამ დღეს უკვე მივიწყებული პროფესიები.

• წიგნის მეგობართა კლუბი

საბავშვო ლიტერატურა ყოველთვის იყო ადამიანის სულიერი ფორმირების ერთ-ერთი ქმედითი საშუალება. წიგნის საშუალებით უნერგავდნენ ჩვენი წინაპრები ბავშვებს

სამშობლოს სიყვარულის, ჰუმანიზმის და კაცთმოყვარეობის კეთილშობილურ იდეალებს.

ბავშვების სულიერ, თუ გონებრივ ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს თამაშობს საბავშვო ლიტერატურა.

დაგეგმილი გვაქვს გადაცემა_ "წიგნის მეგობართა კლუბი", რომელშიც მოვიწვევთ საბავშვო მწერლებს, ანიმატორებს, მასწავლებლებს. ვუმასპინძლებთ ყველას, ვისაც რაიმე შეხება აქვს საბავშვო ლიტერატურასთან; ცნობილ ადამიანებს, რომელნიც წარმოადგენენ ავტორიტეტს ბავშვებისათვის და ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ნათქვამ სიტყვასაც. ისინი გვიამბობენ თუ რას ნიშნავს მათთვის საბავშვო წიგნი, კითხვამ რა როლი შეასრულა მათ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, დღეს რას ფიქრობენ, როგორ მეგობრობენ წიგნთან; გაგვიზიარებენ თავიანთ აზრებს, რჩევებს მისცემენ მომავალ თაობას. სტუმრად მოვიწვევთ იმ ადამიანებსაც, ვისაც ახსოვთ ცნობილი საბავშვო მწერლები, ისინი გააცოცხლებენ მათ და არ მოგვცემენ მათი დავიწყების საშუალებას.

• *ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ*

ბავშვთა აღზრდა ყველაზე დიდი შემოქმედებაა, ბავშვთან ურთიერთობა ღვთის მსახურებაა. მისი ქრისტიანულად აღზრდის შემთხვევაში ჩვენ ვახორციელებთ საიდუმლო მისტიურ ქმედებას, ღვთის სული შეგვყვავს ახალი ადამიანის ცხოვრებაში, ბავშვთა აღზრდისას ჩვენ ვხვდებით მსხვერპლშემწირველნი, რადგან ვიწყებთ ცხოვრებას სხვისთვის. ამ საკითხებზე სასაუბროდ მოვიწვევთ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს. მათთან ერთად ვეძიებთ ბავშვის აღზრდის სრულყოფის გზებს.

• *ცისკრის ვარსკვლავი*

დილის საბავშვო გადაცემა „ცისკრის ვარსკვლავში“ პატარა მსმენელები მათთვის გასაგებ ენაზე გაეცნობიან „ანზანს მართლმადიდებლობისა“, მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს – ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებს, ისწავლიან ლოცვას, ეკლესიაში მოქცევის წესებს, აღსარების, ზიარებისა და მარხვის მნიშვნელობას, ისტორიებს საქართველოს წარსულიდან, ეროვნული გმირების ბიოგრაფიებსა და მათ საგმირო საქმეებს.

• *ღმერთი ჩვენი მწყალობელი*

სადამოს საბავშვო გადაცემა-“ღმერთი ჩვენი მწყალობელი” ძირითადად მიეძღვნება წმინდანთა ცხოვრებას. პატარები გაეცნობიან ყოველდღიურად გამორჩეული წმინდანის ცხოვრებას, საბავშვო ბიბლიას, წმინდანთა სწავლებებს, პატრიარქის ქადაგებებიდან გამორჩეულ ნაწყვეტებს, ქრისტიანულ ლიტერატურას.

ეს გადაცემები დაეხმარება ბავშვებს თვალსაწიერის გაფართოებაში.



• *ჩემი მფარვარველი ანგელოზი*

ამ გადაცემაში ბავშვები მოგვიყვებიან როგორ აქვთ გააზრებული თავიანთ წარმოდგენაში სამყარო, თავიანთ ენაზე გაგვიზიარებენ ოცნებებს. პროექტში აქტიურად ჩაერთავენ სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებს.

• *საგზალი ბავშვობიდან*

„იყო და არა იყო რა ...

ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“ –

ასე იწყებოდა ყოველი ქართული ხალხური ზღაპარი .

იყო სიკეთე და არა იყო რა ბოროტება, უფალი კი ყველაზე უკეთესი , რომელიც მუდამ იქნებოდა. ამგვარია ზღაპრის სიბრძნე ...

ამ სიბრძნეს ხშირად მიმართავდნენ ჩვენი კლასიკოსები, ცნობილი თუ უცნობი მწერლები, რადგან იქ ეგულებოდათ სიტყვის ჯადოსნური მარცვალი, რითაც საკუთარ ზღაპარს გაადვილებდნენ. ამ პროექტში მწერლები თავად წაგიკითხავენ სახელდახელოდ ბავშვებისათვის შექმნილ ზღაპრებს თუ მოთხრობებს, გაიხსენებენ ბავშვობის მოგონებებს და ისაუბრებენ იმ „საგზალზე“ რომელიც ბავშვობიდან წამოიმძვარეს ...

მუსიკალური მიმართულება

მუსიკა კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად, ეროვნული იდენტობის სიმბოლოცაა. მასში განსაკუთრებულად ჩანს ხალხის დამოკიდებულება სამყაროსთან. დღეს, შეცვლილი ფასეულობების, ტექნოკრატიის პირობებში, ქართული სიმღერის მოვლა და პატრონობა მრავალმხრივ ღონისძიებებს საჭიროებს. მისი პოპულარიზაცია სწორედ ამ ფასეულობათა შენარჩუნებას შეუწყობს ხელს.

ჩვენი რადიო მუდმივად მიაწვდის მსმენელს გემოვნებიან მუსიკას-საგალობელს, ხალხურ თუ საესტრადო სიმღერას, ქართულ და მსოფლიო კლასიკის შედევრებს. ამ მიმართულებებით მომზადდება გადაცემათა ციკლები, ისინი ცალ-ცალკე თემებად განიხილება, მაგალითად, მოისმენთ საუბრებს ქართული და მსოფლიოს ხალხთა მუსიკის (საგალობელი, ხალხური, საესტრადო და კლასიკური) ისტორიასა და მნიშვნელობაზე. რა გზა განვლო ქართულმა პოლიფონიურმა სიმღერამ დასაბამიდან დღემდე, ვინ იყვნენ ის ცნობილი თუ უცნობი შემსრულებლები, ვისი წყალობითაც ამ განუმეორებელმა ხელოვნებამ ჩვენამდე მოაღწია; რა მდგომარეობაა დღეს მისი შესწავლისა და შესრულების საქმეში და, რა თქმა უნდა, კიდევ უამრავი თემა იქნება მსჯელობის საგანი მუსიკის სხვადასხვა მიმართულებით.

საზოგადოებრივი, სოციალური, სამედიცინო, სოფლისმეურნეობის, განათლების მიმართულებები

• კულტურა და თანამედროვეობა

გადაცემის მიზანი იქნება გლობალიზაციის ეპოქაში რადიომსმენელთა ფართო აუდიტორიისათვის იმის გაცნობიერება, რანი ვართ ქართველები, საიდან მოვდივართ, სადაა ჩვენი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, როგორ უნდა შევინარჩუნოთ ეროვნული სახალხო და ელიტარული კულტურები, ქართველად მყოფობის სამი უმთავრესი უნივერსალი - ენა, მამული, სარწმუნოება.

ქართული ცნობიერების აქტუალურ საკითხებზე მომზადდება არაერთი გადაცემა. ეს გადაცემები პროგრამის ორი რაკურსით წარდგება: ერთი დაეთმობა ახალგაზრდა ისტორიკოსებსა და კულტუროლოგებს და რადიომსმენელს შესთავაზებს ახალი თაობის ხედვას; ანალოგიურ საკითხებზე ძველი თაობის მეცნიერთა შეხედულებები გაშუქდება.

ამ ციკლის ყველა გადაცემაში ჩვენი კულტურის, ეროვნული ბუნების, კულტურული და ენობრივი ცნობიერების აქტუალური პრობლემები იქნება გაშუქებული, რომლებიც რადიომსმენელს უჩვენებს ქართულ მენტალურ ღირებულებებს და ამით ეროვნული იდენტობის შენარჩუნების გზებს, თანაც იმგვარად, რომ ერს მუდმივად თანამედროვეობის სულისკვეთებაც გააცნობიერებინოს და საკუთარი სახეც არ დააკარგვინოს.

- *ცრემლით ჭეშმარიტებისაკენ*

შვილ გარდაცვლილი დედები ყველაზე უმწეო, მაგრამ ყველაზე ძლიერი ადამიანები არიან დედამიწაზე, მათი ტკივილი ღვთისმშობლის ტკივილის ფერია და მათი ცხოვრება განსაცდელით სავსეა. რადიო ამ გადაცემათა ციკლში მოგიტხრობთ შვილ გარდაცვლილი დედების ცხოვრებაზე, მათ წარსულზე აწმყოსა და სამომავლო გეგმებზე. ისინი ღვთის წყალობითა და უდიდესი ძალისხმევით საზოგადოებისათვის საჭირო ადამიანებად დარჩნენ. ღმერთმა არ დაკარგა მათი სიკეთე, მათი სიყვარული, ერთგულება და აი, ასეთი ჯგვარი მისცა_ უდიდესი ტრაგედიით მიიყვანა ისინი დიდ რწმენამდე, რომელმაც სრულიად გარდაქმნა მათი აზროვნება, ბრძანებს თავის ქადაგებებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მე-II. მათი გამძლეობის მაგალითი ყველაზე ძლიერი და გადამდებია დანარჩენი საზოგადოებისათვის.

- *უიმედობაზე გამარჯვებულნი*

კაცთმოყვარე ღმერთი თავის საყვარელ ქვეშევრდომს განსაცდელებით გამოცდის, როგორც მხურვალე ქურაში ოქროს. განსაცდელის დროს ხშირად ადამიანები იმედს ვკარგავთ, სულიერად ვცემით, აღარ შეგვწევს ძალა დავამარცხოთ საკუთარი ფიზიკური ან სულიერი უძლურება. ამ გადაცემაში შეხვდებით ადამიანებს ვინც შეძლო მხნედ გამკლავებოდა საკუთარ ტკივილს. მათ გადალახეს სხვადასხვა ტიპის განსაცდელი და ცხოვრება იმედით გააგრძელეს. გადაცემის მიზანია ერთად დავრწმუნდეთ, რომ ყველას შეგვწევს უნარი მოვიპოვოთ ღვთის იმედი და სასუფეველი, მთავარია გამოვძებნოთ ჩვენში სულიერი და ფიზიკური ძალა. გარდა ამისა ეს გადაცემა მიზნად ისახავს საზოგადოებაში არსებული ზოგიერთი სტერეოტიპის რღვევას და შშმ პირთა სოციოლოგიურ გარემოში ინტეგრირებასაც ემსახურება, ისინი სიბრალულის გრძნობას არ საჭიროებენ მათ საზოგადოებაში სრულფასოვანი ადგილი ეკუთვნით. შეიძლება ადამიანს ერთი რომელიმე უნარი შეზღუდული ჰქონდეს, მაგრამ სხვაგვარად მოახდინოს გარემოში რეალიზება. გადაცემის ერთ-ერთი წამყვანი თავად უსინათლო იქნება. გადაცემაში ბევრ საინტერესო სტუმარს შეხვდებით, რომელთა ცხოვრება ნათელი მაგალითი იქნება იმისა თუ როგორ შეიძლება გამარჯვება უიმედობაზე.

- *მნიშვნელოვანი თარიღები*

